საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/41 „ 11 " იანვარი 2018 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**ცაგერის რაიონული სასამართლოს მოსამართლე რ. კახიძის რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ**

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $35^4$ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 36-ე მუხლის მე-4 და $4^1$ პუნქტებისა და 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2017 წლის 16 ოქტომბერს გამოცხადებული მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის შედეგების საფუძველზე:

1. ცაგერის რაიონული სასამართლოს მოსამართლე როინ კახიძე არ იქნეს გამწესებული ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლისა და შუახევის მუნიციპალიტეტში ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობებზე უვადოდ.

2. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში (მდებარე: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა №32) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით (მდებარე: ქ. თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №12) გადაწყვეტილების მოსამართლეობის კანდიდატისათვის გადაცემიდან 2 კვირის ვადაში.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე